



act

პროფესიული სასწავლებლით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა

საბოლოო ანგარიში

მომზადებულია ეისითის მიერ
გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით

დეკემბერი, 2015

თბილისი, საქართველო

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გაეროს განვითარების პროგრამისათვის მომზადებულ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიშს. ანგარიში მომზადებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ანგარიშში მოცემულია კვლევის მონაცემები ცხრილებისა და გრაფიკების სახით. ცხრილებსა და გრაფიკებს ერთვის მონაცემთა ტექსტური ანალიზი.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ძირითადი მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების კმაყოფილების კვლევა

კვლევის ამოცანები

- ⇒ პროფესიული პროგრამებით კმაყოფილების შეფასება
- ⇒ სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასება
- ⇒ პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება
- ⇒ პროფესიული სასწავლებლის ინფრატრუქტურით კმაყოფილების შეფასება
- ⇒ პროფესიული სასწავლებელთან ურთიერთობის გზების შეფასება
- ⇒ დამოკიდებულება პროფესიული სასწავლებლების მიმართ

კვლევის ჩატარების ვადები/თარიღი

2015 წლის დეკემბერი

კვლევის არეალი

საქართველო

კვლევის ტექნიკა

თვით-ადმინისტრირებადი ინტერვიუ

სამიზნე სეგმენტი

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები

შერჩევის მეთოდი

ერთ-საფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციით

შერჩევის ზომა

სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების 2244 სტუდენტს

პროფესიული სასწავლებლების პროგრამების შეფასება

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი
სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნები შეესაბამება იმ პროფესიას, რომელსაც ვეუფლები	2%	1.8%	32%	64%	0.3%
სასწავლო პროგრამის ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები კარგად არის შერჩეული	2%	3.5%	41%	53%	0.7%
პროგრამის სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია სასწავლებლის ბაზაზე (არის ბიბლიოთეკა ან გვაწვდიან მასწავლებლები ბეჭდური ან ელექტრონული სახით)	2%	4%	36%	58%	0.5%
პროგრამის სასწავლო მასალა მრავალფეროვანია (ხელმისაწვდომია დამხმარე მასალები ელექტრონული ან ბეჭდური სახით)	2%	6%	46%	45%	0.8%
პროგრამის სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ჩემთვის გასაგებ ენაზე	1%	1%	33%	64%	0.5%
სასწავლო პროგრამას აქვს საკმარისი პრაქტიკული ელემენტები	2%	7%	39%	51%	2%
პროგრამაზე სწავლის საფასური მისაღებია / სწავლა უფასოა	1%	1%	17%	80%	2%

↑
↓
სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

სტუდენტები პროფესიული სასწავლებლების პროგრამებს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ. განსაკუთრებით მაღალი შეფასებით გამოირჩევა ისეთი პარამეტრები, როგორებიც არის პროგრამის სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე (97%) და პროგრამაზე სწავლის საფასური (97%).

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეფასება

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი
ჩემთვის მისაღებია ის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში	1%	2%	42%	53%	1%
ჩემი ცოდნის შეფასება (ნიშნების, ქულების დაწერა) ხდება სამართლიანად	1%	1%	31%	65%	3%
პროგრამის ხანგრძლივობა საკმარისია პროფესიის დაუფლებისთვის	2%	12%	38%	46%	2%
ვისურვებდი უცხო ენის უკეთ სწავლებას	4%	12%	35%	47%	2%
სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია (ლექციაზე ხდება მოსაზრებების გაცვლა და აქტიური კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის)	1%	3%	34%	61%	1%
წლის განმავლობაში საკმარისი რაოდენობის სტუდენტური ღონისძიებები იმართება	14%	22%	35%	25%	4%
ვისურვებდი უფრო მეტ პრაქტიკულ მეცადინეობას	2%	9%	34%	53%	2%

ზოგადად სასწავლო პროცესი სტუდენტების მიერ დადებითად ფასდება. სტუდენტების 96% აღნიშნავს, რომ მათი ცოდნის შეფასება სამართლიანად ხდება. ხოლო 95% - მიიჩნევს რომ სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია. აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ყველაზე მეტად სტუდენტური ღონისძიებების ნაკლებობას უჩივიან - მათი 36% არ ეთანხმება, რომ წლის განმავლობაში მსგავსი ღონისძიებები საკმარისი რაოდენობით იმართება.



სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების შეფასება

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი
მასწავლებლებს აქვთ მაღალი დონის პროფესიული ცოდნა	1%	1%	26%	72%	0.6%
მასწავლებლებს აქვთ მაღალი დონის პრაქტიკული გამოცდილება	1%	1%	25%	72%	1%
მასწავლებლები მიუკერძოებლები არიან და მათთვის ყველა სტუდენტი თანაბარია	1%	2%	25%	71%	1%
მასწავლებლებს შეუძლიათ მარტივად დაამყარონ კომუნიკაცია სტუდენტებთან	1%	2%	26%	71%	0.6%
მასწავლებლები გაწონასწორებულები არიან/ არ ყვებიან ემოციებს	1%	4%	32%	62%	0.8%
მასწავლებლები კეთილგანწყობილები არიან სტუდენტების მიმართ	0.3%	1%	26%	72%	0.9%
უცხო ენას (ინგლისურ ენას) პროფესიონალი მასწავლებლები მასწავლიან	2%	3%	30%	64%	1%


სტუდენტების უმრავლესობა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებელთა სხვადასხვა კომპეტენციას აფასებს, როგორც მაღალს. ეს დაახლოებით, თანაბრად ეხება ყველა იმ პარამეტრს, რომლებითაც მასწავლებლები ფასდებიან. სხვებთან შედარებით ოდნავ დაბალი შეფასება აქვს უცხო ენის (ინგლისური ენის) მასწავლებლების პროფესიონალიზმს და ზოგადად პედაგოგების გაწონასწორებულობას, თუმცა მთლიანობაში ამ დებულებებს, ამ შემთხვევაშიც, ეთანხმება გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (94%).

↑
↓
სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

პროფესიული სასწავლებლის ინფრასტრუქტურის შეფასება

	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	არ ვიცი
სასწავლებლის გეოგრაფიული მდებარეობა (ადვილად მისასვლელი ტრანსპორტით/ფეხით)	4%	8%	41%	47%	0.3%
სასწავლებლის შენობის ზოგადი კეთილმოწყობა	2%	11%	45%	41%	0.5%
აუდიტორიების ზომა	1%	7%	47%	44%	1%
აუდიტორიების ავეჯით/ ინვენტარით უზრუნველყოფა	2%	10%	45%	42%	1%
აუდიტორიის განათება	1%	7%	45%	46%	0.6%
აუდიტორიის სისუფთავე	2%	7%	43%	47%	1%
ტემპერატურა აუდიტორიაში	5%	16%	36%	42%	1%
სანიტარული კვანძის (ტუალეტის) გამართულობა	6%	15%	45%	33%	1%
სასწავლო ტექნიკური ბაზა (სასწავლო ინვენტარი, ტექნიკა, სახელოსნო, ა.შ.)	2%	9%	49%	39%	1%


სტუდენტები, ძირითადად, კმაყოფილები არიან პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურით. ეს დაახლოებით თანაბრად ეხება როგორც აუდიტორების მოწყობას, ასევე სასწავლო-ტექნიკურ ბაზას და სასწავლებლის მდებარეობას. ყველაზე დაბალ შეფასებას პროფესიული სასწავლებლების სანიტარული კვანძების გამართულობა და აუდიტორიებში ტემპერატურა იმსახურებს, რომლითაც უკმაყოფილოა ყოველი მეხუთე გამოკითხული.



სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

პრობლემების გაზიარება პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციასთან

რა გზით უზიარებთ ადმინისტრაციას თქვენს პრობლემებსა და / ან სურვილებს?



გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ მათ სასწავლებლებში იმართება ხოლმე შეხვედრები ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, სადაც მათ საშუალება აქვთ გაუზიარონ ადმინისტრაციას პრობლემები/სურვილები (45%). ხოლო ყოველი მეოთხე სტუდენტი (27%) აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ არანაირი სურვილი ინიციატივა გამოიჩინონ და გაუზიარონ ადმინისტრაციას მათ პრობლემები ან სურვილები.

↑ ↓
სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

ზოგადი დამოკიდებულებები პროფესიული სასწავლებლის მიმართ (1)

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი
პროფესიულ სასწავლებელში სწავლა პრესტიჟულია	1%	8%	52%	37%	1%
პროფესიული განათლების სისტემა ამზადებს პროფესიონალებს	1%	5%	48%	45%	0.8%
პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს დასაქმების მაღალი შანსი აქვს	3%	13%	47%	37%	0.7%
პროფესიულ სასწავლებელში სწავლა არ არის ძვირი /უფასოა	0.4%	1%	24%	73%	1%
პროფესიული განათლების სისტემა გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით	1%	5%	43%	50%	0.7%
პროფესიულ სასწავლებლებს აქვთ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	2%	10%	52%	35%	1%
პროფესიულ სასწავლებელში მისაღები ტესტის ჩაბარება ადვილია	3%	13%	47%	35%	1%

სტუდენტების 93%-ის მიერ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა აღქმულია, როგორც ხელმისაწვდომი. 97% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების სისტემა პროფესიონალებს ამზადებს, ხოლო 93% აცხადებს, რომ პროფესიული განათლების სისტემა გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით.



სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

ზოგადი დამოკიდებულებები პროფესიული სასწავლებლის მიმართ (2)

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი
პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვისას რეგისტრაციის პროცესი მარტივია	4%	11%	45%	37%	0%
პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარება ადვილია	4%	17%	40%	36%	4%
პროფესიულ სასწავლებელში სწავლა ადვილია	2%	6%	43%	48%	2%
პროფესიული განათლება პერსპექტიულია მომავალი დასაქმების თვალსაზრისით	4%	18%	39%	37%	3%


სტუდენტების 82% მიიჩნევს, რომ პროფესიულ სასწავლებლებში რეგისტრაციის პროცესი მარტივია. 76% კი მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება მომავალში დასაქმების თვალსაზრისით პერსპექტიულია.




სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

პროფესიული სასწავლებლითა და პროფესიის არჩევანით კმაყოფილება

რამდენად კმაყოფილი ხართ, რომ აირჩიეთ ის პროფესიული სასწავლებელი, სადაც ახლა სწავლობთ?



რამდენად კმაყოფილი ხართ, რომ აირჩიეთ ის პროფესია, რომელსაც ახლა ეუფლებით?




სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია როგორც არჩეული პროფესიული სასწავლებლით, ისე იმ პროფესიით, რომელსაც ეუფლება. აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია როგორც არჩეული პროფესიული სასწავლებლით, ისე იმ პროფესიით, რომელსაც ეუფლება.

↑↓
სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244

პროფესიული სასწავლებელში ჩაბარების შესახებ ახლობლისათვის რჩევის მიცემა

ურჩევდით თუ არა თქვენს ახლობელს პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებას?



გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (97%) მზად არის ახლობელს ურჩიოს იმავე პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარება, რომლის სტუდენტიც თავად არის.

↑↓
სრული შერჩევითი ერთობლიობა: N=2244